პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 ივნისი, შაბათი, 1989 წ.
№ 105 (10 024) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**მთელი ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობა, რომელიც ერთ კვირაზე მეტია მუშაობას განაგრძობს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში.**

ყრილობის მასალები ქვეყნდება ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონის სახელობისა

მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის მეორე გათამაშების მოსკოვის შესარჩევი ტურნირის დამთავრებისთანავე ამ შეჯიბრების მონაწილე თბილისელი დიდოსტატები ელიზბარ უბილავა და ზურაბ აზმაიფარაშვილი ახალ ტურნირებში ჩაებნენ.

ალმა-ათაში, სადაც ე. უბილავა გამოდის, 16 მოჭადრაკე შეიკრიბა — საერთაშორისო დიდოსტატები, საერთაშორისო და ეროვნული ოსტატები.

I ტურში ელიზბარ უბილავამ ჰოლანდიელი რუდი დოუვენი დაამარცხა, ანატოლი მაჩულსკიმ (მოსკოვი) — სტიუარტ კონკუესტი (ინგლისი), ბულატ ასანოვმა (ალმა-ათა) — პაველ ბლატნი (ჩეხოსლოვაკია), ევგენი ვლადიმიროვმა (ალმა-ათა) — კრინშუ მურუგანი (ინდოეთი), სერიკ ტემირბაევმა (კოკჩეტავა) — რობერტ კუჩინსკი (პოლონეთი), ოლეგ ძიუბანმა (ალმა-ათა) — ვლადიმერ სერედენკო (აქტიუბინსკი). ყაიმით დამთავრდა ნაუმ რაშკოვსკისა (ალმა-ათა) და ვიტალი ციეშკოვსკის (კრასნოდარი), ვლაზკო კლინჩევისა (იუგოსლავია) და ვლადიმერ მალამიუკის (სევასტოპოლი) შეხვედრები.

ტურნირი 17 ივნისს დამთავრდება.

ზურაბ აზმაიფარაშვილი ერევანში გამოდის, მსოფლიოს ექსჩემპიონ ტიგრან პეტროსიანის მემორიალში. წლეულს ტ. პეტროსიანს 60 წელი შეუსრულდებოდა, ამიტომაც ეს შეჯიბრება განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. აქ ბევრი ცნობილი მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის ათი დიდოსტატია, ორი — საერთაშორისო ოსტატი.

სამწუხაროდ, ზ. აზმაიფარაშვილმა მარცხიანად აიღო სტარტი. I ტურში იგი ვლადიმერ აკოფიანს ხვდებოდა. ქართველ დიდოსტატს დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მოულოდნელად უხეში შეცდომა დაუშვა და თავი დამარცხებულად ცნო. სმბატ ლპუტიანმა მოუგო აშოტ ანასტასიანს, ვასილი ივანჩუკმა — ნიკოლაი სპირიდონოვს (ბულგარეთი). დაზავდნენ იშტვან ჩომი (უნგრეთი) — იური დოხოიანი, ოლეგ რომანიშინი — არშაკ პეტროსიანი, სლავოლიუბ მარიანოვიჩი — სვეტოზარ გლიგორიჩი (ორივე — იუგოსლავია).

## მედლებით—ბოლნისში

ბოლნისის სპორტული სკოლის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი მიგვიწვიეს კემეროვოში, ტრადიციულ საქალაქთაშორისო ტურნირზე ჭაბუკთა (1974-1975 წწ. დაბ) შორის. მონაწილეთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო — კემეროვოს ხალიჩაზე 300-მდე ნორჩი მოჭიდავე ცდიდა ძალას 8 მოკავშირე რესპუბლიკიდან.

ჩვენი ბიჭებიდან თავი გამოიჩინა სამმა სპორტსმენმა, მათგან ორი მ. სვანიძე (42 კგ) და ზ. ჯაჯანიძე (47 კგ) ტურნირის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო მ. კორძაძემ (44 კგ) მეორე ადგილი დაიკავა.

გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: ა. ბჟალავამ და ა. ქუქჩიშვილმა.

**მურთაზ კორძაძე.**
**ბოლნისის სპორტული სკოლის დირექტორი.**

## ყოჩაღ, პატარძეულელებო!

**გუშინ თბილისში დამთავრდა გრძელვადიანი და უაღრესად საინტერესო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში — რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების პირველობა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. ფინალში საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის ფალავნებმა დაამარცხეს სოფელ ქორდის (გორის რაიონი) გუნდი და ტურნირის ჩემპიონობა მოიპოვეს.**

**დაწვრილებით — უახლოეს ნომერში.**



## თბილისში, თელავსა და ბათუმში...

— ჩვენ გვახარებს ის, რომ საშუალება გვეძლევა ვიხილოთ საქართველო, რომელზედაც ბევრი გვსმენია და გავაცნოთ მის მცხოვრებლებს ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა ამერიკაში — განაცხადა პრესკონფერენციაზე თბილისში ჩამოსულმა აშშ-ის ქალაქ სპოკანის (ვაშინგტონის შტატი) გონზაგის უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდის „ბულდოგზის" მთავარმა მწვრთნელმა სტივ ჰერტცმა.

საქართველოში ჩამოსვლაში ამერიკელ კალათბურთელებს დაეხმარნენ „ატლანტა სეიბი კორპორეიშნის" პრეზიდენტი დევიდ სეიბი და ვიცეპრეზიდენტი დევიდ ტეილორი. ეს ადამიანები ქართველი ხალხის ძველი და კეთილი ნაცნობები არიან. ისინი თანამშრომლობენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირთან ერთობლივი წარმოების შესაქმნელად, რომელიც საკურორტო ქალაქის განვითარებას ისახავს მიზნად.

ამერიკელთა გუნდი შეიქმნა 1887 წელს და ამჟამად ეროვნული პირველობის უმაღლესი ლიგის ჩრდილოეთ დივიზიონში გამოდის. შარშან „ბულდოგზმა" მეორე ადგილი დაიკავა ამ დივიზიონში.

4 და 5 ივნისს ამერიკელებს უმასპინძლებს თბილისის „ივერია", შემდეგ კი დაგეგმილია ამ გუნდების შეხვედრები თელავსა და ბათუმში.



## დიდი სარბიელი—პატარებს

სპორტული სამყარო გადატვირთულია სხვადასხვა შეჯიბრებებით, რომელთა შორის ღირსეული ადგილი ბავშვთა ასპარეზობებს უკავია. მაგრამ არის შეჯიბრებები, რომლებიც მოზარდებს განსაკუთრებით იზიდავს, ჩვენში ასეთი მასობრივი ღონისძიებაა „იმედის სტარტები", რომელშიაც ხალისით მონაწილეობენ ნორჩები.

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე დაიწყო ბავშვთა საკავშირო სპორტული თამაშების „იმედის სტარტების" რესპუბლიკური ფინალური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ საქალაქო შეჯიბრებებში გამარჯვებული IV-V კლასის მოსწავლეები (რაიონულ ასპარეზობებში გამოვლენილმა უძლიერესებმა ქუთაისში მოიყარეს თავი).

**სურათზე:** გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

ჯემალ კახრაძის ფოტოები.







## საფეხბურთო კავშირის ნაცვლად— საფეხბურთო ლიგების კავშირი

1 ივნისს მოსკოვში შედგა ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო კავშირის მეორე დამფუძნებელი კონფერენცია. კონფერენციამ ფარული კენჭისყრის შედეგად დაადგინა შეიქმნას საფეხბურთო ლიგების კავშირი, რომელიც გააერთიანებს უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების კლუბებს. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა დამფუძნებელი კონფერენციის 174 დელეგატმა, წინააღმდეგი იყო—86.

ამრიგად, საფეხბურთო კავშირის ნაცვლად ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით შეიქმნა საფეხბურთო ლიგების კავშირი. ფაქტობრივად, ხორცი შეესხა სსრ კავშირის ნაკრებისა და კიევის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის ვალერი ლობანოვსკის იდეას, რომელმაც იგი ალტერნატივის სახით წარუდგინა დამფუძნებელ კონფერენციას.

საფეხბურთო ლიგების კავშირი იქნება დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც თავის ეკონომიკურ მოღვაწეობას წარმართავს სრულ სამეურნეო საქმიანობაზე, თავისი საანგარიშო ბარათები ექნება ჩვენსა და უცხოურ ბანკებში, აგრეთვე, ბეჭედი, ემბლემა და ვიმპელი.

საფეხბურთო ლიგების კავშირის პირველ თათბირზე აირჩიეს საორგანიზაციო ბიურო სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვიქტორ პონედელნიკის მეთაურობით. საორგანიზაციო ბიურო ორი თვის შემდეგ მოიწვევს კონფერენციას, სადაც აირჩევს ადმინისტრაციული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მის თავმჯდომარეს. სავარაუდოა, რომ საორგანიზაციო ბიუროში იმუშავებს 22 შტატიანი თანამშრომელი.

საფეხბურთო ლიგების კავშირის კომპეტენციაში შედის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატების გათამაშება ყველა ლიგაში, საბჭოთა გუნდების მზადების ორგანიზაცია და მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში, ოფიციალურ თუ კომერციულ ღონისძიებებში.

რაც შეეხება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას, მის ფუნქციებში კვლავინდებურად რჩება ჩვენი მასობრივი ფეხბურთი, რეზერვების მომზადება. ფედერაცია წამოაყენებს კანდიდატებს ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირისა და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში სამუშაოდ. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია და საფეხბურთო ლიგების კავშირი იმუშავებენ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაში.

## კიროვსკის ტრამპლინზე

ცოტა არ იყოს სასაცილოა ამ გაგანია სიცხეში თხილამურებზე წერა. მაგრამ ფაქტს ვერ გავექცევით — სწორედ ამ დღეებში გაიმართა კიროვსკში საკავშირო შეჯიბრება თხილამურებით 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ტემპერატურა პლუს 3 გრადუსი იყო. სეზონის ბოლოსწინა სტარტზე 50 მფრინავი მოთხილამურე გამოვიდა, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის სამი წარმომადგენელი — კ. წაქაძე, ე. ორჯონიკიძე და ი. გობოზოვი. მათგან ყველაზე უკეთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, 21 წლის წალვერელი ელგუჯა ორჯონიკიძე გამოვიდა. უძლიერესთან ჭიდილში იგი მეოთხე იყო — 198,5 ქულა (ნახტომები 85,5 და 84,5 მეტრზე).

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეორეკურსელს, 20 წლის ბაკურიანელ კახა წაქაძეს ამჯერად ბედმა უმტყუნა—დაეცა პირველი ნახტომის შესრულებისას. 74 და 73 მეტრზე იფრინა ბაკურიანელმა იბრაგიმ გობოზოვმა, რომელიც 159 ქულით 22-ე ადგილზე გავიდა.

ასპარეზობაში გაიმარჯვა სვერდლოვსკელმა იური დუდარევმა — 219 ქულა (91 და 90,5), მეორე იყო ალმაათელი ალექსანდრ კოლპაკოვი — 204,6 (88 და 85), მესამე—პერმელი სერგეი მაკეევი — 201 (89,5 და 81,5).

მეორე დღეს მხტომელები კვლავ შეიკრიბნენ ამავე ტრამპლინზე. თერმომეტრი ახლა მინუს 2 გრადუსს უჩვენებდა. უძლიერესი ამჯერად კრასნოიარსკელი სერგეი იარუშევიჩი იყო — 199,1 (ორივეჯერ — 84). უფელმა ოლეგ კრასიკოვმა მეორე შედეგი აჩვენა — 193,2 (83 და 85,5), წინა დღეს გამარჯვებულმა დუდარევმა კი — მესამე — 193,2 (84 და 82). ორჯონიკიძე აქ მეშვიდე ადგილზე გავიდა — 184,9 (82 და 80), წაქაძე — მეათე იყო — 182 (79 და 82,5). გობოზოვმა მეორე დღეს მხოლოდ 42-ე შედეგი აჩვენა („ლელოს" კორ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი გამოცდის წინ — შედეგები შედის სსრ კავშირის ხალხთა X სპარტაკიადის ჩათვლაში

# დაბრუნებული, ახალგაზრდული...

**წლევანდელი** უველაზე მასშტაბური საკავშირო კომპლექსური სპორტული ღონისძიება IV ახალგაზრდული თამაშების ფინალური ასპარეზობაა. მის მნიშვნელობას ამაღლებს ისიც, რომ თამაშების შედეგები სსრ კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის ჩათვლაში შედის.

ბოლო წლებში რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობაში მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები მოხდა. არჩეული გზის სისწორე ყველაზე უკეთ დაადასტურა სეულის ოლიმპიურმა თამაშებმა, სადაც საქართველოს თექვსმეტმა წარმომადგენელმა 12 მედალი მოიპოვა. მონაპოვარს, ცხადია, განმტკიცება უნდა. ამიტომ ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალ ოლიმპიურ ციკლში. ის ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც გამოდიან ამ თამაშებში, ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის ძირითადი კანდიდატები არიან.

— პასუხისმგებლობა დიდია. სიმართლე გითხრათ საკავშირო ახალგაზრდული თამაშები, ალპინისტების ენით რომ ვთქვათ, მოგვაგონებს იმ სიმაღლეს, სადაც მკაცრად არჩევენ საიერიშო ჯგუფის წევრებს მწვერვალზე ასასვლელად, — ამბობს საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვახტანგ მახარაძე, რომელიც სათავეში უდგას თამაშებისათვის ნაკრები გუნდების მზადების სპორტსახკომის შტაბს და არის ამ ღონისძიების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

**● ბატონო ვახტანგ, „ლელოს" მკითხველებს ალბათ ამთავითვე უნდა შევახსენოთ, რომ მოსწავლეთა საკავშირო კომპლექსურ ღონისძიებებში, ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ჩვენმა რესპუბლიკამ კვლავ იწყო ადმასვლა. ცხადია, ახლა მთავარია, მიღწეულის გაღრმავება, მაგრამ, ვიცით, ეს სულაც არ არის იოლი საქმე. რისი იმედი შეიძლება გვქონდეს ახალგაზრდულ საკავშირო თამაშებში?**

— მთელი მუშაობა, რა თქმა უნდა, მხოლოდ იქითკენ იყო და არის მიმართული, რომ ქართული სპორტის ავტორიტეტი ახალ სიმაღლეზე ავიყვანოთ. ბოლო წლებში თითქმის ყველა რანგის საკავშირო კომპლექსურ შეჯიბრებებში გამოდიოდნენ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, გარდა... ახალგაზრდული თამაშებისა. საქმე ისაა, რომ ეს ღონისძიება 1982 წლის შემდეგ აღარ გამართულა. ახლა იგი კვლავ დაგვიბრუნდა, რაზედაც საკავშირო სპორტსახკომმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილებაა. არადა, იგი საჭირო იყო — ფაქტობრივად სწორედ ეს ასპარეზობაა დიდ სპორტში თავისებური გადასასვლელი ხიდი. არ დაგიმალავთ, სხვა ასაკში თუ როგორღაც მდგომარეობა გამოსწორდა და ასაკობრივი თანმიმდევრობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა შეიქმნა, ახალგაზრდულ თამაშებში პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით. საქმე ისაა, რომ აქ მონაწილეთა საწყისი ასაკი — 1968 წელია და სპორტის ბევრ სახეობაში თეთრი ლაქა გვრჩება. 1968 წლიანები, ნაკრებ გუნდებში ცოტანი გვეყოლება და მათი ადგილი, სხვა რა გზაა, შედარებით უმცროსებმა უნდა დაიკავონ. ეს სპორტულ პაექრობაში ქმნის დისპროპორციას ძალების თანაფარდობაში. ასაკს, მოგეხსენებათ, ამ თაობის სპორტსმენებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

**● მიზეზი ალბათ ის გახლავთ, რომ რესპუბლიკის უამრავ სპორტულ სკოლაში უგულოდ ეკიდებოდნენ საქმეს, სხვაგვარად ასეთი ვაკუუმი არ შეიქმნებოდა. არადა, სსრ კავშირის ხალხთა 1991 წლის სპარტაკიადა, ასე ვთქვათ ამ ახალგაზრდული თამაშებით იწყება... აქვე გვინდა გკითხოთ, სპორტის რამდენ სახეობაში ჩატარდება თამაშები და მივიღებთ თუ არა მონაწილეობას სრული პროგრამით?**

— დიახ, საქართველოს სპორტული დელეგაცია თამაშებში გამოვა სრული პროგრამით — სპორტის 39 სახეობაში. არასრული გუნდებით გამოვალთ მხოლოდ მძლეოსნობასა და ცურვაში. განსაზღვრულია ჩვენი სპორტული დელეგაციის საერთო შემადგენლობა — 686 სპორტსმენი.

**● ისევ მონაწილეთა ასაკს დავუბრუნდეთ...**

— როგორც ვთქვით, თამაშებში 1968 წელზე ადრე დაბადებული არც ერთი სპორტსმენი არ დაიშვება. მაგრამ კონკრეტულადაა დადგენილი ასაკი სპორტის სახეობების მიხედვით. მაგალითად, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში გამოვლენ 1969 და შემდგომ წლებში დაბადებულნი. ფეხბურთში 1970 წელზე ადრე დაბადებულები ვერ იასპარეზებენ. აი, მხატვრულ ტანვარჯიშეთა გუნდში კი ყველაზე უფროსი 1972 წელს დაბადებული უნდა იყოს.

**● აქვე გვინდა გკითხოთ, როგორ გადაწყდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეთა ასაკობრივი შეზღუდვის გაუქმების საკითხი?**

— დადებითად. სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავია.

**● ხომ არ შეიცვალა ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილე კოლექტივების რაოდენობა?**

— არა! ისევ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტული დელეგაციები შეებმებიან პაექრობაში. აი, სპორტის ცალკეულ სახეობებში კი სპორტული დელეგაციები სხვადასხვა რაოდენობის გუნდებს გამოიყვანენ. აქვე განვმარტავ: ეს დამოკიდებულია იმაზე, ვინ როგორ გამოიჩინა თავი ბოლო წლებში, სად, რომელი სპორტის სახეობებია უფრო პოპულარული. კონკრეტულად მხედველობაში მიიღება 1985–1986 წლებში ჭაბუკთა და იუნიორთა მიერ ქვეყნის ჩემპიონატებსა და პირველობებში მიღწეული შედეგები. ამ პრინციპით რსფსრ-ის დელეგაცია, მაგალითად, აკრობატიკაში გამოიყვანს ოთხ გუნდს, საქართველო — ორს. ასევე ოთხი გუნდით წარდგება რსფსრ ძიუდოში, ჩვენები — სამით. საქართველოს მოპოვებული აქვს უფლება ორ-ორი გუნდი გამოიყვანოს აგრეთვე სინქრონულ ცურვასა და თავისუფალ ჭიდაობაში. ეს ფაქტიც იმას მოწმობს, რომ პირველობისთვის თანაბარი ბრძოლის შესაძლებლობები კოლექტივებს არ ექნებათ.

**● რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში ადრე მეტწილად შედიოდნენ თბილისელი სპორტსმენები. ახლა როგორაა საქმე, როგორ ჩაიარა რესპუბლიკურმა თამაშებმა, ცხადია, მხოლოდ უმთავრესი და მნიშვნელოვანი დასკვნები გვაინტერესებს.**

— თამამად შემიძლია გითხრათ, რომ რესპუბლიკურმა თამაშებმა შესაძლებლობა მოგვცა მასშტაბურად შეგვემოწმებინა გაწეული მუშაობა, გამოგვევლინა რეზერვი, გამოგვეტანა სამომავლო საორიენტაციო დასკვნები. ოთხიათასზე მეტი ახალგაზრდა მონაწილეობდა თამაშების ფინალურ ეტაპზე სპორტის 35 სახეობაში.

შეჯიბრებები გავანაწილეთ რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში. ამ ღონისძიებამაც გაამართლა — ადგილებზე სპორტის ცოცხალი პროპაგანდისათვის შეიქმნა ჩინებული შესაძლებლობა. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო რესპუბლიკური თამაშების მასპინძელი ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს, მთელ მოსახლეობას, რომლებმაც ძალიან დიდი დახმარება გაგვიწიეს.

ახლა შედეგებზე: პირველად ასეთ შეჯიბრებაში შესრულდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ერთი ნორმატივი, 13 სპორტსმენი სპორტის ოსტატი გახდა, 23 ოსტატობის კანდიდატი. ცხადია, თავი იჩინა მუშაობაში დაშვებულმა ნაკლოვანებებმა, რამაც შესაძლებლობა არ მოგვცა უფრო სრულყოფილად, შედარებით მაღალი კლასის სპორტსმენებით დაგვეკომპლექტებინა რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. თავჩენილი ნაკლოვანებები ცალკე მსჯელობის საგნად იქცა.

**● ძალა ერთობაშიაო, — ნათქვამია! ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს სპორტსახკომმა, როგორც რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საერთო ხელმძღვანელმა და კოორდინატორმა ამ საქმეშიც მხარში ამოიყენა სპორტული საზოგადოებები და უწყებები. სისტემატურად იკრიბებოდა და იკრიბება სპორტსახკომის შტაბი, საქართველოს მინისტრთა საბჭოში იმართება საორგანიზაციო კომიტეტის სხდომები. დღის წესრიგში მუდამ დგას ერთი უმთავრესი საკითხი — საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის მზადება და მონაწილეობა...**

— დავიწყებ საორგანიზაციო კომიტეტით, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ქვილითაია უდგას სათავეში. საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე ყველა პრობლემა ოპერატიულად წყდება. აქ გაგებით, პასუხისმგებლობით ეკიდებიან ჩვენს მოთხოვნებს. ყველაფერი კეთდება, რომ თამაშებში წარმატებით გამოვიდეთ.

სპორტსახკომის სამუშაო ჯგუფის სხდომაზე სპორტის თითოეული სახეობისა და ნაკრები გუნდის საკითხი რამდენჯერმე განვიხილეთ. მკაცრად ვიცავდით ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების პრინციპს. დიდია პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, სპორტსაზოგადოება „დინამოს", „შრომითი რეზერვების", არმიის სპორტული კლუბის წვლილი. ყველა საუკეთესო სპორტული ბაზა დაეთმო ნაკრების წევრებს. უკეთ მომზადების მიზნით საწვრთნელი შეკრებები ჩატარდა რესპუბლიკის გარეთაც. ახალგაზრდული ნაკრების წევრები დროდადრო გამოდიოდნენ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, იმაღლებდნენ სპორტულ ოსტატობას.

**● ველოსიპედისტები პირველნი ჩაებნენ თამაშებში. ჩვენმა გაზეთმა უკვე აუწყა მკითხველებს საგზატკეცილო რბოლაში საქართველოს ვაჟთა ნაკრების შედეგები. ახლა დარჩა გოგონების ასპარეზობა. საქმეს ცუდი პირი არ უჩანს, ველოსპორტში, სადაც ადრე ასე უმოწყალოდ ჩამოვრჩებოდით, ვაჟებმა პირად და გუნდურ ჩათვლაში დაიკავეს IV ადგილი. ეს, ცხადია, წინგადადგმული ნაბიჯია. თუ ვიტყვით, რომ წინა თამაშებში საერთოდ ჩასათვლელი ქულაც ვერ დავიმსახურეთ...**

— მე მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ აღმასვლა სპორტის ამ სახეობაში დაიწყო ჭაბუკთა თამაშებიდან, ფაქტობრივად იგივე გუნდი გამოდის ამ თამაშებში. ისე კი, არ შეიძლება არ ითქვას — ყველაფერი ეს უფროსი მწვრთნელის [illegible] დამსახურებაა, რომელიც ადრე რესპუბლიკის გარეთ მუშაობდა. იგი დიდი ხანი არაა რაც მოვიწვიეთ. ერთი სიტყვით, მომავალს მეტი იმედით შევყურებთ.

**● ძირითადად შეჯიბრებები მაინც ივნის-ივლისში ჩატარდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ველოსიპედისტთა ასპარეზობას. სპორტის სხვა სახეობებს უკრაინის ქალაქები უმასპინძლებს. სად იმუშავებს თამაშების მთავარი შტაბი?**

— თამაშების ცენტრი მაინც დონეცკია და მთავარი შტაბი იქ იმუშავებს. ჩვენი სპორტული დელეგაციის შტაბიც დონეცკში გვექნება. ამ ქალაქში იასპარეზებენ ფეხბურთელები, მოცურავეები, მოკრივეები, ჩოგბურთელები, ძალოსნები, მძლეოსნები, ძიუდოისტები, სამბისტები, თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეები; სევასტოპოლში გამოვლენ აკრობატები და წყალბურთელები, დნეპროპეტროვსკში — წყალში მხტომელები, წყალმოთხილამურეები, ნიჩბოსნები და ბადმინტონისტები; ლვოვში — თანამედროვე ხუთჭიდელები; ვოროშილოვგრადში — ცხენოსნები. შეჯიბრებები გასტანს ივლისის ბოლომდე.

**● ალბათ უკვე მივადექით იმ მომენტს, როცა პირდაპირ უნდა დაისვას შეკითხვა, რომელიც ყველას ერთნაირად აინტერესებს — როგორია პროგნოზი?**

— შედეგების პროგნოზირება ტრადიციად იქცა დიდი კომპლექსური სპორტული ასპარეზობის წინ. სხვა საკითხია, რა უდევს საფუძვლად ასეთ ვარაუდს. ჩვენ შევეცადეთ რეალური შესაძლებლობების ღრმა ანალიზით გამოგვეტანა დასკვნები. წინადადებები მოვითხოვეთ დაბალი რგოლიდან — პროგნოზებში ჩაერთნენ მწვრთნელები, შემდეგ სპორტული საზოგადოებები, უწყებები, საბოლოოდ პროგნოზები განვიხილეთ და დავამტკიცეთ კოლეგიის სხდომაზე. ვგეგმავთ 56 მედალს (11 ოქროსი, 14 ვერცხლის და 31 ბრინჯაოსი), წინა თამაშებში მხოლოდ სამივე სინჯის 18 მედალია მოპოვებული.

**● თუ შეიძლება იქნებ ისიც გვითხრათ, სპორტის რომელ სახეობებში იგეგმება მედლები?**

— ვფიქრობთ, კარგად უნდა იასპარეზონ წყალბურთელებმა, კალათბურთელებმა, კეტბურთელებმა, ხელბურთელებმა, ჩოგბურთელებმა, თანამედროვე ხუთჭიდელებმა, ფეხბურთელებმა, ძიუდოისტებმა, მოჭიდავეებმა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. ამოცანა საპასუხისმგებლოა, მიზანი — უმაღლესი!

---

სსრ კავშირის ჩემპიონატი

რაგბი • უმაღლესი ლიგა



XI ტურში ქუთაისის „აიამ" ალმა-ათაში ფრედ ითამაშა იქაურ არმიელებთან — 22:22. ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ გაიმარჯვა თბილისის „ელმავალმა". მან კიევში „ავიატორს" მოუგო — 13:6. ამ გამარჯვებით რკინიგზელებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს უძლიერესთა „ოქტეტში" მოხვედრის შანსი.

სხვა მატჩების შედეგები: „სპარტაკი" (მოსკოვი) — სსა (მონინო) 10:29, „ზვეზდა" (ტაშკენტი) — „ელექტრომაში" (ტირასპოლი) 6:12, „ფილი" (მოსკოვი) — „სლავა" (მოსკოვი) 6:6, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — ეტს (კრასნოიარსკი) 0:13.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ს. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სსა | 10 | 6 | 4 | 9 | 0 | 1 | 18 |
| ეტს | 11 | 5 | 6 | 8 | 0 | 3 | 16 |
| „აია" | 9 | 4 | 5 | 6 | 2 | 1 | 14 |
| „ლოკომ." | 11 | 6 | 5 | 7 | 0 | 4 | 14 |
| „ფილი" | 10 | 5 | 5 | 5 | 3 | 2 | 13 |
| „სლავა" | 11 | 4 | 7 | 5 | 1 | 5 | 11 |
| „ელექტრ." | 11 | 7 | 4 | 5 | 0 | 6 | 10 |
| „ავიატორი" | 11 | 6 | 5 | 4 | 1 | 6 | 9 |
| ასკ | 10 | 5 | 5 | 3 | 1 | 6 | 7 |
| „ელმავალი" | 10 | 2 | 8 | 3 | 1 | 6 | 7 |
| „ზვეზდა" | 11 | 8 | 3 | 2 | 1 | 8 | 5 |
| „სპარტაკი" | 11 | 5 | 6 | 1 | 0 | 10 | 2 |

## პირველი ლიგა

ოთხშაბათს ვარკეთილის სტადიონზე შედგა თბილისის გუნდების — „მიმინოსა" და ასკ-ს მატჩი. თამაში დამთავრდა ფრედ — 10:10. ამ ტურში პირველი მარცხი იწვნია ერთ-ერთმა ლიდერმა, ლვოვის „სოკოლმა". მას ხარკოვის ხტზ-მ მოუგო — 13:4.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 ივნისისთვის

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კპი (კიევი) | 11 | 7 | 4 | 9 | 2 | 0 | 20 |
| „სოკ." (ლვ.) | 11 | 6 | 5 | 8 | 2 | 1 | 18 |
| ხტზ (ხარკ) | 11 | 7 | 4 | 7 | 0 | 4 | 14 |
| „რაფ." (იელ) | 11 | 6 | 5 | 7 | 0 | 4 | 14 |
| „ვაირ." (შ.) | 11 | 7 | 4 | 6 | 1 | 4 | 13 |
| სტმ (კრას.) | 10 | 3 | 7 | 5 | 0 | 5 | 10 |
| სმი (ნოვოკ.) | 10 | 4 | 6 | 5 | 0 | 5 | 10 |
| „ელექ." (ლ.) | 11 | 6 | 5 | 4 | 0 | 7 | 8 |
| „რად." (ტაგ.) | 11 | 6 | 5 | 3 | 1 | 7 | 7 |
| ასკ (თბ.) | 9 | 2 | 7 | 2 | 2 | 5 | 6 |
| „მიმინო" | 11 | 3 | 8 | 2 | 2 | 7 | 6 |
| „პრეს" (დნ.) | 11 | 7 | 4 | 1 | 0 | 10 | 2 |

## რაგბის მოყვარულთა საყურადღებოდ

როგორც გაუწყეთ, დღეიდან თბილისში იწყება „დიდი რაგბის კვირეული", რომლის დროსაც ყოველდღიურად გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის თითო მატჩი. აი, ამ თამაშთა განრიგიც:

3 ივნისი. ასკ — კპი

4 ივნისი. „მიმინო" — „ელექტრომაში"

5 ივნისი. „ელმავალი" — სსა

6 ივნისი. ასკ — „ელექტრომაში"

7 ივნისი. „მიმინო" — კპი

8 ივნისი. „ელმავალი" — ეტს.

# ზეიმს სპორტსმენებიც შეუერთდნენ

**ქართული** ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის საზეიმო აღნიშვნის წინ ლექციამოხსენებები და გულახდილი დიალოგები გაიმართა ქალაქ გორისა და გორის რაიონის წარმოება-დაწესებულებებში.

ზეიმის დღეს — 26 მაისს ჩატარდა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, მათ შორის ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი საზეიმო მსვლელობა ქუჩებში, ფრიალებდნენ საქართველოს ეროვნული დროშები, გაისმოდა პატრიოტული შეძახილები.

ხვთისმშობლის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო ხალხმრავალი შეხვედრა. სპორტულ ბაზებზე გაიმართა შეჯიბრებები, საჭიდაო დარბაზში ჩატარდა ჭაბუკი ფალავნების ამხანაგური შეხვედრები — სარბიელზე გამოვიდა 60-მდე მოჭიდავე. გაიმარჯვეს გოგიტა კაკაშვილმა, იოსებ გუსოშვილმა, ვლადიმერ თვაურმა, საქართველოს ჩემპიონმა მალხაზ ავაზნელმა, შენგელი საათაშვილმა, ანატოლი ავაზნელმა, ზვიად ჯალაძემ, თამაზ მახათაძემ, ხვიჩა საბაშვილმა და სხვებმა.

**ილია თევდორაძე,**
**„ლელოს" საკ. კორ.**

გორი.

---

**მკითხველი — გაზეთი**

**შეკითხვა:** როგორც ცნობილია („ლელოც" ბევრჯერ წერდა), ბაკურიანი ერთ-ერთი კანდიდატია სპორტის ზამთრის სახეობების იმ ცენტრებს შორის, რომლებსაც სსრ კავშირიდან სურვილი აქვთ უმასპინძლონ 1998 წლის „თეთრ ოლიმპიადას". სპორტის მოყვარულებში კამათს იწვევს ის, რომ 1998 წელი არ ემთხვევა „თეთრი ოლიმპიადის" ჩატარების კალენდარს. რაშია საქმე?

**მ. სირაძე,**
**ზ. ქვალიაშვილი.**
**თბილისი.**

**პასუხი:** საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 1986 წელს მიიღო გადაწყვეტილება 1994 წლიდან ზამთრის ოლიმპიადების ახალი ციკლით ჩატარების თაობაზე. ასე რომ, ახალი ციკლით „თეთრი ოლიმპიადა" სწორედ 1998 წელს უნდა ჩატარდეს.

# ჭაბუკი ფეხბურთელები გრონინგენში

**ჰოლანდიის** ქალაქ გრონინგენში გაიმართა ჭაბუკ ფეხბურთელთა (ასაკი 18 წლამდე) დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, შვეციის, შოტლანდიის, ინგლისის, იტალიის, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის გუნდებმა.

ტურნირი საინტერესო ფორმულით წარიმართა, გუნდები დღეში 2-2 მატჩს თამაშობდნენ, ტაიმების ხანგრძლივობა 30-30 წუთი იყო.

სსრ კავშირის ნაკრებმა პირველ დღეს ფრედ ითამაშა ადგილობრივ კლუბთან — 0:0, მერე კი ანგარიშით 3:0 დაამარცხა პარიზის „რესინგი". მეორე დღეს ჩვენმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 0:4 წააგეს შვეციის „მალმესთან", მაგრამ სალამოს დამაჯერებლად მოუგეს ჰოლანდიის „აიაქსს" — 3:0

ტურნირის მესამე დღეს ჩვენმა ნაკრებმა ანგარიშით 4:1 მოუგო შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს" და საბოლოოდ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა.

მთავარ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჰოლანდიის „ეინდჰოვენი" და შვეციის „მალმე". ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ეინდჰოვენმა". მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ სსრ კავშირის ნაკრები და ინგლისის „ნოტინგემ ფორესტი". თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0, მატჩისშემდგომი დამატებითი პენალტებით გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 9:8.

სსრ კავშირის ნაკრებში გამოდიოდნენ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები თ. დიმიტრიშვილი და გ. ნემსაძე.

## იტალია-90

# მსოფლიო ჩემპიონატი

**განვლილ** ოთხშაბათს შედგა 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

### III ჯგუფი

სსრ კავშირისა და ისლანდიის ფეხბურთელთა მატჩს დიდი ინტერესით ველოდით. ჩვენს ნაკრებს მოსკოვში საკმაო ხანია არ უთამაშია, 31 მაისს ამ მატჩს ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე 70 ათასი მაყურებელი დაესწრო.

თამაში, როგორც იცით, ფრედ დამთავრდა — 1:1. ეს შედეგი არსებითად მოულოდნელი იყო საბჭოთა გუნდის ქომაგებისთვის, რომლებიც შესარჩევი ჯგუფის ლიდერისაგან უფრო კვალიფიციურ, შედეგიან და მონდომებულ თამაშს ელოდნენ. ისლანდიელებმა საუკეთესოდ წარმართეს დაცვით ტაქტიკაზე აგებული თამაში და ქულა აიღეს, რომელიც მათ დიდად ესაჭიროებათ. ანგარიში 65-ე წუთზე გახსნა დობროვოლსკიმ, მატჩის დასასრულამდე 4 წუთით ადრე კი ისლანდიელმა აქსელსონმა, რომელიც მინდორზე შემცვლელად გამოვიდა, საპასუხო ბურთი გაიტანა.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობა ამ მატჩში ასეთი იყო: დასაევი, ლუჟნი, გორლუკოვიჩი, კუზნეცოვი, ალეინიკოვი, რაცი, ბესონოვი (კეტაშვილი), ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი (ი. სავიჩევი), დობროვოლსკი.

შესარჩევ ჯგუფში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-2 | 8 |
| თურქეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 5 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 3 |
| ისლანდია | 4 | 0 | 3 | 1 | 3-5 | 3 |
| გდრ | 5 | 1 | 1 | 3 | 4-9 | 3 |

განვლილ 5 ტურში საბჭოთა ფეხბურთელებმა მხოლოდ 2 ქულა დაკარგეს და ორივე ისლანდიის გუნდთან. მორიგი მატჩი III შესარჩევ ჯგუფში 14 ივნისს გაიმართება, ისლანდიელი ფეხბურთელები რეიკიავიკში მიიღებენ ავსტრიის გუნდს. სსრ კავშირის ნაკრები მხოლოდ 6 სექტემბერს განაგრძობს ასპარეზობას, იგი მეტოქის მინდორზე შეხვდება ავსტრიის გუნდს.

### IV ჯგუფი

ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა ჰელსინკში შესარჩევი მატჩი გამართეს ფინეთის ნაკრებთან. ფინელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ევროპის ჩემპიონს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 0:1. ეს ერთადერთი ბურთი ვიმ კიფტმა გაიტანა რუუდ გულიტის გადაცემის შემდეგ 87-ე წუთზე (გულიტი მხოლოდ 55-ე წუთზე გამოვიდა მინდორზე შემცვლელად).

ამავე ჯგუფის წარმომადგენლები უელსისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ კარდიფში, თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0. ალნიშნავენ, რომ თამაშის ბოლო წუთებზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მცველმა გ. ბუხვალდმა ხელით ითამაშა თავის [illegible], მაგრამ პორტუგალიელმა არბიტრმა კარლოს ვალენტემ [illegible] და 11-მეტრიანი არ დანიშნა.

### VII ჯგუფი

ბელგიისა და ლუქსემბურგის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გაიმართა საფრანგეთის ქალაქ ლილში, ვინაიდან ლუქსემბურგის მთავარი სტადიონი რემონტშია და ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს თხოვნით მიმართა მეტოქე საფრანგეთის სტადიონზე მიეღო.

თამაში დიდი ანგარიშით მოიგეს ბელგიელებმა — 5:0. 4 ბურთი გაიტანა მარკ ვან დერ ლინდენმა და ერთი — პატრიკ ჰერვორტმა.

ეს ბელგიის ნაკრების რიგით მესამე მატჩი იყო ცნობილი მწვრთნელის გი ტისის ხელმძღვანელობით.

# ვეტერანთა მატჩი

**სპორტულ** ზეიმად იქცა გაგრის ცენტრალურ სტადიონზე გამართული მოსკოვისა და გაგრის ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი.

გუნდები მოედანზე სასპარეზოდ გამოიყვანეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ალბერტ შესტერნიოვმა და შოთა სიჰინავამ. მოსკოველთა რიგებში გამოდიოდნენ წარსულის ცნობილი ფეხბურთელები სტრელცოვი, ისტომინი, იარცევი, რეინგოლდი, აბრამოვი, შევჩუკი და სხვები.

მატჩი სტუმრების იერიშებით დაიწყო, მათ საქმე ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოამთავრეს, როდესაც სამჯერ შეძლეს გაგრელთა მეკარე ჯაიანის კარის აღება — 3:0.

მეორე ნახევარში გაგრელ ვეტერანთა მწვრთნელმა გიორგი სიჰინავამ გუნდში რამდენიმე ცვლილება მოახდინა, რამაც შედეგი გამოიღო, გაგრელმა ცეტიამ შეძლო პრესტიჟის გოლის გატანა.

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა მოსკოვის ვეტერანთა ნაკრებმა.

**დემურ ტორაძე.**

# „დნეპრის" პრეზიდენტი გადადგა

დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" საფეხბურთო კლუბის პლენუმმა განიხილა ეკონომიკურ-საორგანიზაციო მოღვაწეობის საკითხი. პლენუმმა დააკმაყოფილა ნ. ფილიპოვსკის თხოვნა კლუბის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის თაობაზე, „დნეპრის" საფეხბურთო კლუბის ახალ პრეზიდენტად აირჩიეს ვ. გავრიკოვი.

# პრევენტიული ზომები

1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის გათამაშების ორგანიზატორები ამთავითვე საგანგებოდ ემზადებიან, იტალიაში ღონისძიებათა მთელი კომპლექსია შემუშავებული, რათა თამაშებზე სრული წესრიგი სუფევდეს და დიდ შეჯიბრებას, რომელსაც ასე მოელის საერთაშორისო სპორტული სამყარო, ჩრდილი არ მიადგეს.

რომში ახლახან გაიმართა საგანგებო პრესკონფერენცია, სადაც სიტყვით გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ლუკა დი მონტეცემოლო. მან დამსწრეებს მოახსენა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს იტალიაში წესრიგის დასამყარებლად.

— მთავარია უშუალოდ სტადიონების ტერიტორიაზე არ დავუშვათ ისეთი სიტუაციები, რომლებსაც შეიძლება არეულობა მოჰყვეს. — თქვა მან. — ამიტომაც ის ადამიანები, რომლებსაც ბილეთები არა აქვთ, ახლოსაც ვერ მიუახლოვდებიან სტადიონს. ჩვენ კარგად გვაქვს თვალისწინებ შეფილდში მომხდარი ტრაგედია და ვიცით, რომ უბილეთო მასა, ეს უშუალო საფრთხეა სტადიონისთვის. ბილეთების მკაცრი კონტროლი დაიწყება სტადიონებიდან საკმაო მოშორებით, მაგრამ იქვე მახლობლადაც გამოვნახავთ შესაფერის შენობებს, სადაც დავამონტაჟებთ დიდი ზომის ტელევიზორებს, ვინც სტადიონზე ვერ შევა, ამ ტელევიზიით დაიკმაყოფილებს თავის სურვილს.

ბილეთების შეძენის საგანგებო წესი შემოვიღეთ ინგლისელი გულშემატკივრებისათვის. ბილეთის შეძენისას მათ უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი, თითოეული ინგლისელის თავისებური „პირადი საქმე" პოლიციის სპეციალურ რაზმებს გადაეცემა. ტრიბუნაზე მოხვედრის საშუალება ექნება მხოლოდ იმ ინგლისელს, რომელმაც საკუთარი პირადობის მოწმობით შეიძინა ბილეთი, თუ მან სხვას გადასცა ბილეთი, იგი ავტომატურად გაუქმდება.

ყველა სტადიონზე გვექნება მხოლოდ დასაჯდომი ადგილები, სტადიონების ადმინისტრაციები და პოლიციელები ყოველგვარ ზომას მიმართავენ, რათა გულშემატკივრები მხოლოდ დასაჯდომ ადგილებზე იმყოფებოდნენ.

# პელე ეხმარება თანამემამულეებს

**ბრაზილიის** ფეხბურთელთა ნაკრები, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ბოლო ხანებში წარუმატებლად გამოდის ამ დიდ შეჯიბრებაში. 1970 წელს ბრაზილიელებმა მესამედ და უკანასკნელად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონთა ოქროს მედლები, მას შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი კიდევ ოთხჯერ ჩატარდა და ამ თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ბრაზილიელები ახლოსაც ვერ მიუახლოვდნენ ჩემპიონობას, მართალია, მათი ავტორიტეტი კვლავინდებურად დიდია საერთაშორისო ფეხბურთში, მაგრამ რეალური მიღწევა, რეალური შედეგი მსოფლიო ჩემპიონატებზე არა და არა ჩანს.

ამჟამად მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ბრაზილიელები ერთ საკვალიფიკაციო ჯგუფში არიან გაერთიანებული ჩილისა და ვენესუელის გუნდებთან, მათი ფინალში გასვლის შესაძლებლობა ეჭვს არ იწვევს, თუმცა, ბრაზილიელებს ტრადიციულად უჭირთ სამხრეთ ამერიკის გუნდებთან თამაში, მაგრამ ფინალურ ტურნირში?..

ალბათ, ბრაზილიელთა ამ წარუმატებლობების გამოისობით იყო ის, რომ გამოჩენილმა ფეხბურთელმა პელემ გადაწყვიტა დაუბრუნდეს ბრაზილიის ნაკრებს და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლი ითავოს. მან თხოვნით მიმართა თავისი ქვეყნის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელობას იმის თაობაზე, რომ სურვილი აქვს ტექნიკური კონსულტანტის მოვალეობანი შეასრულოს, საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს ბრაზილიის ნაკრების უფროს მწვრთნელს სებასტიან ლაზარონის.

ბრაზილიის კონფედერაციის შტაბ-ბინაზე რიო-დე-ჟანეიროში პელემ პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც განაცხადა, რომ ბრაზილიური ფეხბურთის აღორძინებისთვის უნდა გაკეთდეს ყველაფერი, ნაკრებმა უნდა დაიბრუნოს ძველი სიდიადე, გარდა ამისა, შეკრებილთ უპასუხა საკუთარი გეგმების შესახებ.

პელე ბრაზილიის ნაკრებს ოფიციალურად გამოეთხოვა 1971 წელს, 1974 წელს კი გამოემშვიდობა თავის მშობლიურ „სანტოსსაც" და ნიუ-იორკის „კოსმოსში" გადავიდა, სადაც 1978 წლამდე ითამაშა. ბოლო წლებში პელე იშვიათად, მაგრამ მაინც მონაწილეობდა საჩვენებელ თუ საქველმოქმედო მატჩებში ბრაზილიის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში, ახლა კი მას გადაწყვეტილი აქვს უკანასკნელად ითამაშოს „სანტოსის" შემადგენლობაში. ამ გამოსათხოვარ მატჩში „სანტოსის" მეტოქე იქნება იტალიის ცნობილი „ნაპოლი". თამაშისადმი ინტერესს ისიც აღვივებს, რომ „ნაპოლის" შემადგენლობაში გამოდიან არგენტინელი ვირტუოზი დიეგო მარადონა და ბრაზილიელი ფეხბურთელები კარეკა და ალემაო.

„სანტოსისა" და „ნაპოლის" შეხვედრის თარიღი ჯერ დადგენილი არაა, მატჩის ტელეტრანსლაციის უფლების შესყიდვის სურვილი გამოთქვა მსოფლიოს 35 ქვეყანამ.



### პლატინი არ თმობს

იმის მიუხედავად, რომ საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრები ახალი მწვრთნელის მიშელ პლატინის ხელმძღვანელობით მარცხს მარცხზე განიცდის და ბევრი სპეციალისტი მის გადადგომას მოითხოვს, თვით პლატინი სხვანაირად ფიქრობს.

— საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას ხელშეკრულების დადებისას ჩემთვის სრულიადაც არ მოუთხოვია, რომ გუნდი აუცილებლად მსოფლიო პირველობის ფინალში მოხვდეს. ამიტომაც ნაკრების მიტოვებაზე არც ვფიქრობ.

თავის მხრივ, ფედერაცია სავსებით ენდობა მ. პლატინის და აცხადებს, რომ მას ფრანგული ფეხბურთის განვითარების საინტერესო იდეები აქვს. ეს ეხება პირველი დივიზიონის გუნდების რაოდენობის შემცირებას, ჭაბუკთა და ახალგაზრდათა შორის მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას და სხვა ღონისძიებებს, რომლებმაც ფრანგული ფეხბურთი მძიმე კრიზისის მდგომარეობიდან უნდა გამოიყვანონ.

### ბეკენბაუერის წინადადება

გფრ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა ამ ქვეყნის ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელობას ასეთი წინადადებით მიმართა: თუკი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს, მის მენეჯერად დაინიშნოს წარსულში პოპულარული ფეხბურთელი კარლ-ჰაინც რუმენიგე.

### სპიდს შეეწირა

ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთის მსაჯი რობერტო ნუნეს მორგადო 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. როგორც ბრაზილიური პრესა იუწყება, იგი სპიდის მსხვერპლი გახდა.

### „რომა" არ მოსწონს

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა რენატომ, რომელიც იტალიის „რომას" შემადგენლობაში გამოდის, ამას წინათ ინტერვიუ მისცა ჟურნალ „პლაკარს" (რიო-დე ჟანეირო).

— „რომა" სუსტი გუნდია, ძირითადად ხანდაზმული მოთამაშეებისაგან შედგება, რომელთა ნაწილმა 30 წელს გადააჭარბა. მას ორად-ორი ფეხბურთელი მიემატა — მე და ჩემი თანამემამულე ანდრადე. მწვრთნელი ლიდჰოლმი მეტად მოძველებული მეთოდებით უძღვება წვრთნას, მისი მეცადინეობა ბრაზილიური მიყრუებული საფეხბურთო სკოლების გუნდების ვარჯიშს წააგავს.

### ვერაფერს დაუბრალებთ

ენდოკრინოლოგიის ერთ-ერთი დიდი ლაბორატორიის ხელმძღვანელმა პროფესორმა დონიკემ (გფრ) ბუნდესლიგის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ქვეყნის პირველობის მატჩების შემდეგ 60 ფეხბურთელი შეამოწმა დოპინგის მიღების თაობაზე. როგორც პროფესორმა განაცხადა, არც ერთ ფეხბურთელს აღმგზნები ნივთიერებების კვალი არ აღმოაჩნდა.

### ლუჩესკუს კანდიდატურა

რუმინეთის ნაკრების ყოფილ ხელმძღვანელსა და ბუქარესტის „დინამოს" ახლანდელ მწვრთნელ მირჩა ლუჩესკუს „ნაპოლის" სათავეში ჩადგომას სთავაზობენ.

### მსაჯებს საგანგებოდ მოამზადებენ

როგორც ფიფა-ს ხელმძღვანელობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, დიდი ყურადღება დაეთმობა მსაჯების მომზადებას, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს უნდა მოემსახურონ. მსაჯები ჩემპიონატის დაწყებამდე, სამი თვით ადრე იტალიაში შეიკრიბებიან, სადაც თეორიული და პრაქტიკული მომზადების კურსს გაივლიან. შემდეგ ჩატარდება ფიზიკური მზადყოფნის მკაცრი ტესტირება, ყოველივე ამის შემდეგ ფიფას ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, რომელ მატჩს კონკრეტულად ვინ უნდა უხელმძღვანელოს.

### დ. ძოფი: „ლობანოვსკისთან სიამოვნებით ვიმუშავებდი!"

ტურინის „იუვენტუსის" მწვრთნელმა, ახლო წარსულში განთქმულმა მეკარემ დინო ძოფმა, რომელსაც იტალიელი ჟურნალისტები სასტიკად აკრიტიკებენ, გაზეთ „გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტს განუცხადა.

— თუკი ვალერი ლობანოვსკი გადაწყვეტს და „იუვენტუსს" სათავეში ჩაუდგება (იტალიის პრესაში ახლა ამ იდეას განიხილავენ), სიამოვნებით გავხდებოდი მისი თანაშემწე. ეს ისეთი სპეციალისტი გახლავთ, რომლისგანაც შეიძლება ბევრი რამ ისწავლო.

• • •

**ბრიუსელი.** ბელგიის საფეხბურთო თასის ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ცნობილმა კლუბებმა „ანდერლეხტმა" და „სტანდარდმა": თასის ნახევარფინალებში 2-2 მატჩი გაიმართა. „ანდერლეხტმა" დაძლია ქვეყნის ჩემპიონის „მეხელენის" წინააღმდეგობა: პირველი თამაში მოიგო ანგარიშით 2:0, მეორე სტუმრად წააგო — 1:3 და ორი მატჩის ჯამში სწორედ მეტოქის მინდორზე გატანილი გოლის წყალობით მიაღწია წარმატებას. „სტანდარდმა" კი, პირიქით, თავის მინდორზე „ლიეჟთან" წააგო — 0:1, სტუმრად კი გაიმარჯვა — 2:1.

**სტოკჰოლმი.** შვეციისა და ალჟირის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი დამთავრდა შვეციის ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:0.

**ოსლო.** აქ გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ნორვეგიისა და ავსტრიის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ნორვეგიელებმა — 4:1.

**ამანი.** იორდანიაში სტუმრად იმყოფებიან ნალჩიკის „სპარტაკის" ფეხბურთელები, რომლებიც რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ ამ ქვეყანაში. სპარტაკელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს იორდანიის თასის მფლობელი „დაფთეიმი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მსაჯ-ინფორმატორთა ქართულ ენაზე მოსამზადებლად

# გიწვევთ სემინარებზე

**მიმდინარე** წლის 29 მაისს „ლელო“ იუწყებოდა, რომ საქართველოს სპორტსახკომში იმსჯელეს ჩვენს რესპუბლიკაში გამართულ ყველა რანგის სპორტულ ღონისძიებებზე ქართულ ენაზე ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობის შესახებ. გადაწყდა სპორტის სახეობათა მიხედვით მსაჯ-ინფორმატორთა მომზადების მოკლევადიანი სემინარების ჩატარების საკითხი. სემინარებს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციასთან ერთად ჩაატარებს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. სემინარებზე ხელმძღვანელებად მოიწვევენ როგორც ამ ინსტიტუტის, ისე სპორტის სახეობების სპეციალისტებს, ფიზკულტურის კვლევითი ინსტიტუტის, სპორტსახკომის მუშაკებს.

მსაჯ-ინფორმატორთა მომზადების სემინარები უმჯობესია გაიარონ ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტებმა, მათ გარდა არ ზღუდავენ სტუდენტებს, სპორტის გულშემატკივრებს, ყველას, ვინც თავს მოვალედ თვლის წვლილი შეიტანოს სპორტულ ღონისძიებებზე ქართული ენის კონსტიტუციური უფლების დაცვაში, ქართული სპორტული ტერმინოლოგიის გამდიდრებასა და დახვეწაში.

მსურველებს ვთხოვთ მ. წ. 10 ივნისამდე „ლელოს“ რედაქციაში მოგვაწოდონ პასუხები ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ანკეტაზე, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს სემინარის მონაწილენი სპორტის მონათესავე სახეობების მიხედვით დავაჯგუფოთ.

ანკეტას აქვე გთავაზობთ.

## მსაჯ-ინფორმატორის ანკეტა

გვარი, სახელი, მამის სახელი — — — — — — — — — — — — — —

ასაკი — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

სქესი — — — — — — — — — — — — — — — — — — — —

განათლება — — — — — — — — — — — — — — — — — —

პროფესია — — — — — — — — — — — — — — — — — —

გაქვთ თუ არა მსაჯ-ინფორმატორის გამოცდილება — — — — — — —

საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი, რაიონი, სოფელი) — — — — — —

პირადი ხელმოწერა — — — — — — — — — — — — — — —





# „ჰერაკლე“ — ჯანმრთელობის კოოპერატივი

**ყველა** დროს თავისი მოდა აქვს. ერთადერთი „მოდა“ რაც არ იცვლება, სხეულის ლამაზი აღნაგობაა, მაგრამ ყველამ როდი იცის როგორ მიაღწიოს ამას. ბოლო ხანს მათ ერთ-ერთ შემწედ მოგვევლინა ათლეტური ტანვარჯიში. ჩვენს ქალაქში რამდენიმე ასეთი კოოპერატივია, მაგრამ მსურველები კვლავ ბევრია. ამ დღეებში თბილისში, გრიბოედოვის ქ. №14 გაიხსნა კალინინის კომკავშირის რაიკომის ახალგაზრდული ცენტრი „ჰერაკლე“. მსურველებს შეუძლიათ კვირაში სამჯერ 2-2 აკადემიური საათი იმეცადინონ, გარდა ამისა, აქვე მუშაობს სპორტული ჯგუფი, რომელშიც პერსპექტიული მოზარდები შევლენ. მისი წევრები მონაწილეობას მიიღებენ როგორც საქალაქო, ისე რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში.





**● რა ღირება კოოპერატივში ვარჯიში? — ვკითხეთ ცენტრის დირექტორს, რესპუბლიკის ათლეტური ტანვარჯიშის ფედერაციის წევრს გოგი ხომერიკს.**

— ოცდახუთი მანეთი

**● თანხა ნორმალურია, მაგრამ ოჯახიდან თუ რამდენიმე წევრმა იარა, ალბათ გაუჭირდებათ გადახდა.**

— ჩვენი კოოპერატივის უპირველესი მიზანია დაინტერესებულ პირებს ვარჯიშის ჩვევები გამოვუმუშავოთ, ამიტომ ყველაფერს ფულით როდი ვზომავთ, ცხადია, ჩვენთან ისინიც ივარჯიშებენ ვისაც ამ თანხის გადახდის საშუალება არა აქვს. სიმართლე გითხრათ, გული მტკივა, რომ ჩვენს ქვეყანაში გამაჯანსაღებელ ფიზკულტურას მხოლოდ 8-9 პროცენტი თუ მისდევს (დარწმუნებული ვარ, ეს პროცენტი საქართველოში უფრო ნაკლებია), იმ დროს, როცა ამერიკის მოსახლეობის 60 პროცენტამდე ვარჯიშობს. ალბათ ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ისინი სიცოცხლის ხანგრძლივობითაც საქმაოდ გვისწრებენ.

**● რას პირდებით გამაჯანსაღებელი ჯგუფის წევრებს?**

— იმედი გვაქვს, ისინი ჩვენთან ხალისსა და ჯანმრთელობას გაიხანგრძლივებენ. აქვე ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კვირაობით მსურველებს კუს ტბაზე ვავარჯიშებთ.

**ერთ-ერთ მოვარჯიშეს ლია ხულაძეს გამოველაპარაკეთ.**

—ყოფილი სპორტული ტანმოვარჯიშე ვარ, ორი შვილი მყავს, ბოლო წლებში ვეღარ ვიცლიდი სავარჯიშოდ, რომ გავიგე „ჰერაკლეს“ გახსნის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ დიდმის მასივში ვცხოვრობ, უყოყმანოდ მოვაშურე. გამეხარდა, რომ ჩემს გარდა, ჯერჯერობით, კიდევ სამი ქალი ვარჯიშობს. პირობებით კმაყოფილი ვარ, თანხაც, სხვა კოოპერატივებთან შედარებით, ნორმალურია. დიასახლისებს უმეტესად ერთგვაროვანი მოძრაობები უწევთ. ამ დეფიციტის ანაზღაურება მხოლოდ ვარჯიშით შეიძლება. ისე რომ, ყველას მოვუწოდებ ნუ დაიზარებს ვარჯიშს.

**ჯემალ კახრაძე.**



# რეკორდი, რომელიც ვეღარ გაუმჯობესდება

**ფენიქსი.** პროფესიული კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ნახევარფინალის მესამე და მეოთხე შეხვედრა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ მოუგო „ფენიქს სანს“ მისსავე მოედანზე — 110:107 და 122:117. ლოს ანჯელესის კალათბურთელებმა მეტოქე მშრალი ანგარიშით — 4:0 დაამარცხეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ლეიკერსმა“ მერვედფინალში აჯობა „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსს“ — 3:0, მეოთხედფინალში — „სიეტლ სუპერსონიკს“ — 4:0, ნახევარფინალში კი, როგორც ვთქვით, „ფენიკს სანს“ — 4:0. ესე იგი ლოს-ანჯელესის კალათბურთელებს „პლეი-ოფის“ 11 მატჩიდან არც ერთი არ წაუგიათ, ეს გახლავთ ნბა-ს ახალი რეკორდი, რომელსაც ვეღარავინ გააუმჯობესებს. ამიერიდან შეიძლება მხოლოდ მისი განმეორება.

ძველი რეკორდი — „პლეი-ოფის“ სერიებში 9 გამარჯვება ასევე „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს“ ეკუთვნოდა და დამყარებული იყო 1982 წელს.

მეორე ფინალისტი უნდა დაასახელოს აღმოსავლეთ კონფერენციის (ჯგუფის) ორი უძლიერესი კლუბის „დეტროიტ პისტონსის“ და „ჩიკაგო ბულსის“ ნახევარფინალური მატჩების სერიამ, მას შემდეგ რაც „პისტონსმა“ მეხუთე შეხვედრაში დაამარცხა მეტოქე 94:85, ანგარიში გახდა 3:2 დეტროიტელთა სასარგებლოდ. ნახევარფინალში გამარჯვებული გამოვლინდება ოთხი მოგების შემდეგ.

# მწვრთნელი შეცვალეს

**ლოს-ანჯელესი.** ნხლ-ს პროფესიულ ჰოკეისტთა ლიგის ერთ-ერთი პოპულარული კლუბის „ლოს-ანჯელეს კინგზის“ ახალ მწვრთნელად დანიშნეს ტომ უებსტერი. მან ამ პოსტზე შეცვალა რობი ფტორეკი, რომელმაც ადგილობრივი პრესის განცხადებით საერთო ენა ვერ გამონახა პროფესიულ ჰოკეის სუპერვარსკვლავთან უეინ გრეცკისთან.

უებსტერი 1986-1987 წლებში ხელმძღვანელობდა „ნიუ-იორკ-რეინჯერსის“ კლუბს, რომელმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ მერე ავად გახდა და დიდი ხნით ჩამოშორდა კლუბს. ჟურნალისტთა აზრით, უებსტერი ისეთი მწვრთნელია, რომელიც ყურს უგდებს სპორტსმენებს და მეტწილად მათთან კონტაქტს ამყარებს. „ლოს-ანჯელეს კინგზისთვის“ დღეს ეს არის მთავარი.

## ინფორმაცია

**ხიმფეროპოლელმა** კონსტანტინე მურიგინმა დაამყარა ჭაბუკ ველომრბოლთა ახალი მსოფლიო რეკორდი (დახურული ტრეკებისათვის) ადგილიდან ერთკილომეტრიან გიტში — 1.05,124. ადრინდელი რეკორდი (1.05,612), რომელიც აქვე, მოსკოვში, კრილატსკის ველოტრეკზე დამყარდა ამა წლის 11 მაისს, მურიგინსვე ეკუთვნოდა.

ერთი დღით ადრე, ამავე ტრეკზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა მოსკოველმა ალექსეი ზინოვიევმა. ადგილიდან 200 მეტრზე რბოლაში მისი შედეგია 10,245 წამი.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დასრულდა ბალტიისზღვისპირა ქვეყნების მეგობრობის ველორბოლის ერთი ნაწილი. ახლა შეჯიბრება ფინეთში გაგრძელდება.

რბოლის ბოლო „საბჭოთა“ ეტაპი (5,4 კილომეტრიანი 20 წრე) მოეწყო ტალინში. ათ საუკეთესო მრბოლს შორის ვერ მოხვდა ასიათ საითოვი, თუმცა ოთხი ეტაპის ჯამში იგი კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

# კიდევ ორი ეტაპი

**რომი.** პროფესიულ ველოსიპედისტთა მრავალდღიანი ველორბოლის „ჯირო დ' იტალიის“ მეთერთმეტე ეტაპი ყველაზე გრძელი იყო — 224 კილომეტრი. ამის მიუხედავად, ფინიშის ხაზი მონაწილეთა დიდმა ჯგუფმა ერთდროულად გადაკვეთა. ეტაპი მოიგო შვეიცარიელმა ურს ფრელერმა. ჯგუფის დროა — 6:19.28. გორკელი დმიტრი კონიშევი, რომელიც „ალფა-ლიუმის“ ღირსებას იცავს, ფინიშზე მეჩვიდმეტე იყო.

ლიდერის ყვითელ მაისურს ჰოლანდიელი ერიკ ბრეკინკი ინარჩუნებს. მომდევნო ადგილებზე არიან „ტურ დე ფრანსის“ სხვადასხვა წლების ჩემპიონები ირლანდიელი სტეფენ როჩი და ფრანგი ლორან ფინიორი. ისინი ლიდერს შესაბამისად 46 წამითა და 1.01-ით ჩამორჩებიან.

თერთმეტი ეტაპის შემდეგ ბევრისთვის მოულოდნელად გუნდურ პირველ ადგილზე გადაინაცვლა „ალფა-ლიუმმა“, რომელიც საბჭოთა ველოსიპედისტებისაგან არის დაკომპლექტებული.

მეთორმეტე ეტაპმა, რომელიც სპრინტერული ტემპით იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ მოიგო, ლიდერთა ჯგუფის მდგომარეობა უცვლელი დატოვა. ყვითელ მაისურს ერიკ ბრეკინკი ინარჩუნებს. ჩვენი სპორტსმენები ვერ მოხვდნენ ოცეულში.

ამ ეტაპზე შეჯახების შედეგად რამდენიმე ველოსიპედისტი დაშავდა. მათ შორისაა გორკელი დიმიტრი კონიშევი, რომელიც ამის მიუხედავად რბოლას გააგრძელებს. დანიელი როლფ სორენსენი კი ექიმების რჩევით საავადმყოფოში დააწვინეს.



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**
**(ა. წერეთლის გამზირი, №2)**

**4 ივნისი ● კეტბურთი**

სანახაობრივი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

ამერიკის შეერთებული შტატების ვაშინგტონის შტატის უნივერსიტეტის „ბულდოგზისა“ და თბილისის „ივერიის“ გუნდებს შორის.

დასაწყისი 17.00 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 3 და 4 ივნისს, 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-56,
ხამდევნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10375